დანართი 1.

„დამტკიცებულია“
სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის
2021 წლის 19 ივლისის N 02-03/ 10 ბრძანებით

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკა

I. მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მიზნები

1.1. სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში - მაუწყებელი), მიზანია, მის მიერ პეროსნალური მონაცემების დამუშავება წარმოებდეს და იყოს სრულ შესაბამისობაში მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან.

1.2. მონაცემთა დაცვის პოლიტიკა უზრუნველყოფს აუცილებელი ჩარჩო პირობების არსებობას მონაცემთა მიმოცვლისთვის.

1.3. მაუწყებლის ვალდებულებები მონაცემთა დამუშავების დროს:

- მონაცემები დაამუშაოს, მხოლოდ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში და კანონით დადგენილო პრინციპების დაცვით;
- უშუალოდ მონაცემთა სუბიექტისგან ინფორმაციის მიღებისას, მიაწოდოს მას ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების თაობაზე - მონაცემთა დამმუშავებლის/უფლებამოსილი პირის ვინაობა და რეგისტრაციის მისამართი; მონაცემთა დამუშავების მიზანი; სავალდებულოა თუ არა მონაცემთა მიწოდება და თუ სავალდებულოა, მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები;
- მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა სუბიექტს მიეწოდოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძვლების, მიზნის, მონაცემთა შეგროვების საშუალებებისა და დამუშავებული მონაცემების მოცულობის შესახებ;
- გააცნოს მონაცემთა სუბიექტს თავისი უფლება მის შესახებ დამუშავებული ინფორმაციის მიღების, მისი გასწორების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების მოთხოვნაზე;
- დაიცვას და უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოება - გაატაროს ისეთი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო ან შემთხვევითი გამოყენებისა და დაკარგვისაგან;
- აღრიცხოს მონაცემთა გამჟღავნების შემთხვევები შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის მითითებით;
- უზრუნველყოს უფლებამოსილი პირის მიერ მონაცემთა დასაცავად სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღება, თუ მონაცემთა დამუშავება ხორციელდება უფლებამოსილი პირის მეშვეობით;
- კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის გადაცემისას წინასწარ მიიღოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნებართვა;

II. მონაცემთა დაცვის პოლიტიკის მოქმედების სფერო და ცვლილება

2.1. წინამდებარე პოლიტიკა სრულად ვრცელდება მაუწყებლის სტრუქტურულ ერთეულებზე და გამოიყენება პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში.

2.2. ანონიმური და არაიდენტიფიცირებადი მონაცემები, მაგალითად მონაცემები სტატისტიკური შეფასებების ან შესწავლისათვის, არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს და შესაბამისად, წინამდებარე პოლიტიკის რეგულირების საგანს.

2.3. წინამდებარე პოლიტიკა, შესაძლოა, დროდადრო განახლდეს. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ მას გაეცნოთ რეგულარულად. წინამდებარე პოლიტიკის უახლესი ვერსია ხელმისაწვდომია მაუწყებლის ვებ-გვერზე.

III. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები

3.1. სამართლიანობა და კანონიერება

პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს, აუცილებელია დაცული იყოს მონაცემთა სუბიექტის უფლებები. პერსონალური მონაცემები უნდა შეგროვდეს და დამუშავდეს კანონიერად და სამართლიანად.

3.2. კონკრეტული მიზნით შეზღუდვა

მაუწყებელი ვალდებულია მონაცემები შეაგროვოს კანონიერი საფუძვლით, კონკრეტული მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის, მხოლოდ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი მოცულობით. მონაცემები ასევე უნდა იყოს მიზნის ადეკვატური და პროპორციული და უნდა ინახებოდეს იმ ვადით რაც აუცილებელია დამუშავების მიზნის მისაღწევად (მაგ: დასაქმებულს არ უნდა მოეთხოვოს საცხოვრებელი ადგილის შესახებ ცნობა, რადგან არ არსებობს ამის აუცილებლობა). მონაცემთა დამუშავების მიზნის შემდგომი ცვლილება დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და მოითხოვს შესაბამისი საფუძვლების არსებობას.

3.3.გამჭვირვალობა

მონაცემთა სუბიექტი უნდა იყოს ინფორმირებული იმის შესახებ, თუ როგორ ხდება მის შესახებ არსებული მონაცემების დამუშავება. ზოგადად, პერსონალური მონაცემები უნდა შეგროვდეს უშუალოდ იმ პირისგან, ვისაც ეს მონაცემები ეხება. როდესაც ხდება მონაცემების შეგროვება, მონაცემთა სუბიექტი უნდა იყოს ინფორმირებული:

(ა) მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა;(ბ)

მონაცემთა დამუშავების მიზანი;

(გ) მესამე პირები, რომლებსაც შესაძლოა პერსონალური მონაცემები გადაეცეს.

3.4. განადგურება

მაუწყებლის მიერ მონაცემების ამ პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით დამუშავება გაგრძელდება იმ ვადით, რომელიც შეესაბამება მაუწყებლის მიზნებს და ინტერესებს, და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

3.5. მონაცემების შენახვის ვადა

მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მხოლოდ იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არისდადგენილი.

3.6. ფაქტობრივი სიზუსტე, უახლესი მონაცემები

დაცული პერსონალური მონაცემები შეძლებისდაგვარად უნდა იყოს ზუსტი, სრული და,საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. აუცილებელია ისეთი ზომების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფს არაზუსტი ან არასრული მონაცემების განადგურებას, შესწორებას, დამატებას ან განახლებას.

3.7. კონფიდენციალურობა და მონაცემთა უსაფრთხოება

პერსონალური მონაცემები საიდუმლოდ უნდა ინახებოდეს, ამიტომ აუცილებელია, პერსონალურ მონაცემებთან ინდივიდუალურ დონეზე კონფიდენციალური მოპყრობა და მათი დაცვა, შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების გამოყენებით, რომლებიც გამორიცხავენ მონაცემებზე უნებართვო წვდომას, უკანონო დამუშავებას ან გავრცელებას, ასევე, შემთხვევით დაკარგვას, ცვლილებას ან განადგურებას.

IV. მონაცემთა დამუშავების ფარგლები

4.1. მაუწყებელთან სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, მაუწყებელი უფლებამოსილია, წინამდებარე პოლიტიკის VI მუხლში მოცემული მიზნებით, განახორციელოს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის მისი პერსონალური მონაცემების, დამუშავება.

4.2. მაუწყებლის მიერ მონაცემთა დამუშავება, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ავტომატური, ნახევრად ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ, მათ მონაცემთა სუბიექტისაგან ინფორმაციის მოპოვებას, შეგროვებას, ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას.

V. მონაცემთა დამუშავების საფუძველი

5.1. მონაცემთა სუბიექტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების

შემდგომაც, მაუწყებლის მიერ მონაცემთა სუბიექტის ან მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის მონაცემების (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება აუცილებელია:

(ა) მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;

(ბ) მაუწყებლის ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;

(გ) მაუწყებლის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

დ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ შემთხვევაში.

5.2. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს მონაცემთა სუბიექტისთანხმობის არსებობას, ასეთი თანხმობა მიიღება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

VI. მონაცემთა დამუშავების მიზნები

6.1. მაუწყებლის მიერ მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს მაუწყებლის საქმიანობის ჯეროვნად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის:

(ა) მაუწყებლის მიერ მისთვის კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობებისშესასრულებლად;

(ბ) კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

(გ) მაუწყებლის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც მაუწყებელი ახორციელებს მონაცემთა სუბიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

(დ) სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

VII. აპლიკანტის ან დასაქმებულის მონაცემების დამუშავება

7.1. პერსონალური მონაცემების დამუშავება შრომითი ხელშეკრულების დადების, შესრულებისა და შეწყვეტის მიზნებისათვის

მაუწყებელი უფლებამოსილია დაამუშავოს იმ პირის პერსონალური მონაცემები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ პირის დასაქმების ან/და სტაჟირების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (შემდგომში - აპლიკანტი). თუ კონკრეტულ პოზიციაზე განსახილველ აპლიკანტს უარი ეთქვა დასაქმებაზე, აპლიკანტმა ვერ გაიარა შერჩევის პროცესი ან გამოსაცდელი ვადა დაასრულა წარუმატებლად, აპლიკანტის პერსონალური მონაცემები ექვემდებარება განადგურებას გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აპლიკანტს მაუწყებლისთვის მიცემული აქვს თანხმობა მაუწყებლისთვის ან/და მესამე პირების მიერ მონაცემების შემდგომ დამუშავებასა და გადაცემაზე, მისი კანდიდატურის მომავალში სხვა პოზიცი(ებ)ზე განხილვის მიზნით.

7.2. თუ აპლიკანტების შერჩევის პროცესში აუცილებელია აპლიკანტის შესახებ ინფორმაციის მესამე პირ(ებ)ისგან მოპოვება, აღნიშნული უნდა განხორციელდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე.

7.3. ის პერსონალური მონაცემები, რომლებიც უკავშირდება შრომით ურთიერთობებს, მაგრამ მოპოვებულ არ იქნა უშუალოდ შრომითი ხელშეკრულების დადების და შესრულების პროცესში, შეიძლება დამუშავდეს, თუ: (ა) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით, (ბ) არსებობს აპლიკანტის თანხმობა (მათ შორის თანხმობა გამოხატული ელექტრონული ფორმით, მოქმედებით, მაგ. განაცხადის, აპლიკაცის წარდგენით და სხვა), (გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მაუწყებლის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების დასაცავად ან/და (დ) მონაცემების დამუშავება

ხდება პოლიტიკის VI თავით განსაზღვრული მიზნისთვის.

VIII. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება შრომით ურთიერთობაში

8.1. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ აპლიკანტის (მონაცემთა სუბიექტი) წერილობითი თანხმობით ან მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში (მათ შორის და არამარტო დასაქმების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად). განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემს განეკუთვნება მონაცემი, რომელიც დადგენილია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტით.

8.2. აპლიკანტის თანხმობა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე უნდა იყოს მკაფიოდ გამოხატული.

IX. მონაცემთა დამმუშავებლის და მისი უფლებამოსილი პირის ვალდებულებები

9.1. მაუწყებელმა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება უნდა განახორციელოს კანონით განსაზღვრული პრინციპების დაცვით, ხოლო თუ მონაცემთა დამუშავებისთვის კანონი ითვალისწინებს მონაცემთა სუბიექტის თანხმობას, მოიპოვოს აღნიშნული თანხმობა (წერილობით ან ელექტრონული ფორმით).

X. მაუწყებლის შენობაში, ვიზიტორების შესვლის კონტროლი

მაუწყებელში ვიზიტორების შენობაში შესვლისა და შენობიდან გასვლის კონტროლის შემთხვევაში, აღირიცხება მხოლოდ ვზიტორის სახელი, შესვლისა და გასვლის თარიღები და დრო, ასევე შენობაში შესვლის მიზეზი. ამ მონაცემების შენახვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მათი ჩაწერის დღიდან ერთ წელს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მაუწყებელმა ისინი უნდა წაშალოს ან გაანადგუროს.

XI. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

11.1. მონაცემთა ყოველ სუბიექტს აქვს წინამდებარე მუხლით განსაზღვრული უფლებები. ამ უფლებებით სარგებლობაზე დაუყოვნებლივ რეაგირებს მაუწყებლის იურიდიული მხარდაჭერის სამსახური და ამ უფლებების გამოყენებამ არ შეიძლება რაიმე სახის წინააღმდეგობა შეუქმნას მონაცემთა სუბიექტს:

(ა) მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის პერსონალური მონაცემები ინახება მის შესახებ, როგორ და რა მიზნით შეგროვდა ეს მონაცემები.

(ბ) თუ პერსონალური მონაცემები გადაეცემა მესამე პირებს, მონაცემთა სუბიექტს, მოთხოვნის წარმოდგენისას გონივრულ ვადაში უნდა მიეწოდოს ინფორმაცია მესამე პირების ან პირთა ჯგუფის ვინაობის შესახებ.

(გ) თუ პერსონალური მონაცემები არაზუსტი ან არასრულია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი მონაცემების შესწორება ან შევსება.

(დ) მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს პრეტენზია განაცხადოს მისი მონაცემების სარეკლამო ან საბაზრო/აზრის კვლევის მიზნებისათვის დამუშავებაზე. თუ მონაცემთა სუბიექტი უარს განაცხადებს მისი მონაცემების სარეკლამო მიზნებით გამოყენებაზე, ასეთი მონაცემების სარეკლამო მიზნებით

გამოყენება უნდა შეწყდეს.

(ე) მონაცემთა სუბიექტს, უფლება აქვს პრეტენზია წაუყენოს მაუწყებელს მისი მონაცემების დამუშავებაზე და ასეთი პრეტენზია განხილული უნდა იქნეს თუ მონაცემთა სუბიექტის ინტერესების დაცვის სიკეთე აღემატება მონაცემთა დამმუშავებლის მიერ კონკრეტულ სიტუაციებში მონაცემების დამუშავების უფლებას. წინამდებარე წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც მონაცემთა დამუშავება ხდება კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველზე.

XII. მონაცემთა დამუშავების უსაფრთხოება

პერსონალური მონაცემები უნდა იქნეს დაცული უნებართვო წვდომისა და უკანონო დამუშავების ან/და გამჟღავნებისგან, ისევე, როგორც შემთხვევით დაკარგვის, შეცვლის ან განადგურებისგან. წინამდებარე წესი ვრცელდება იმის მიუხედავად, თუ რა ფორმით ხდება ინფორმაციის დამუშავება - ელექტრონულად თუ წერილობითი ფორმით.

XIII. მონაცემთა დამუშავების კონტროლი

მონაცემთა დაცვის წინამდებარე პოლიტიკასთან და მონაცემთა დაცვის სფეროში მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა მოწმდება და კონტროლდება რეგულარულ საწყისებზე. ასეთ შემოწმებას და კონტროლს ახორციელებს იურიდიული მხარდაჭერის სამსახური.

XIV. დასკვნითი დებულება

14.1. ურთიერთობები, რომელიც მოწესრიგებული არ არის წინამდებარე დოკუმენტით, წესრიგდება მოქმედი კანონმდებლობით. ამ წესსა და მოქმედ კანონმდებლობას შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მაუწყებელი იყენებს კანონს.

14.2. წინამდებარე დოკუმენტი მტკიცდება, მასში ცვლილებები და დამატებების შეტანა ხდება მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.